ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №2

ქ. ახმეტა 26 თებერვალი, 2020 წელი

თავმჯდომარეობდა: რ.ბაღაკაშვილი-ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: ბ.ჭიჭიკლიშვილი, ლ.ითიურიძე

ა.შათირიშვილი, ა.ბუღრიძე

გ.ხადიშვილი, ა.მექვევრიშვილი

შ.ტერტერაშვილი, ნ.ალავიძე

თ.ბოდაველი

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ საათზე.

სხდომის თავმჯდომარე რ.ბაღაკაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ილია გუმაშვილი/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე დასახლების გაყოფის, ახალი დასახლების შექმნის, კატეგორიის მინიჭების, სახელდებისა და ადმინისტრაციული საზღვრის დადგენის თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი - ლევან ითიურიძე/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის **2020** წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ახმეტაში, თამარის ქუჩაზე მდებარე შენობის ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების, ქალაქ ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 16 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის საპრივატიზებო ნუსხისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ოჟიოში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 175კვ.მ ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

7. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. ქისტაურში მდებარე 17770კვ.მ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი კატეგორიის) მიწის ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვისას, საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

8. 2019 წლის 21 ნოემბერს გამოცხადებული, ელექტრონული პირობიანი აუქციონის წესით ვერ გაყიდული, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ კასრისწყალში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობისა და მასზე დამაგრებული 1501 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე 30%-იანი ფასდაკლებით პრივატიზების, საწყისი საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

9. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ბორბლიანი ექსკავატორის კამაცუ **PW 160-7**-ის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს: შენიშვნა ხომ არ აქვთ დღის წესრიგთან დაკავშირებით.
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე არჩილ შათირიშვილმა დღის წესრიგის მეექვსე და მეშვიდე საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა საკითხები და იძლევა რეკომენდაციას, მათი ხელმეორედ შესწავლის მიზნით, საკითხები ამოღებულ იქნას დღის წესრიგიდან.
ბიუროს წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება, საკითხების დღის წესრიგიდან ამოღების შესახებ,მათი უკეთ შესწავლის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> **„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

მომხსენებელმა ბიუროს დამსწრე წევრებს გააცნო პროექტი: ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზანი არის ის, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე დასახლებული პუნქტი (ქვემო ჩოფჩაური), რომელიც ქალაქ ახმეტის ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაშია, ტერიტორიულად უფრო ახლოს არის შახვეტილას ადმინისტრაციულ ერთეულთან და შახვეტილას ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს უფრო ეფექტურად შეუძლია თავისი საქმიანობის განხორციელება ამ დასახლებულ პუნქტში, ვიდრე ქალაქ ახმეტაში ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მოქმედი რედაქციით, მერის წარმომადგენლებს მოქალაქეებისთვის სხვადასხვა ცნობების გაცემის უფლებამოსილება არ აქვთ, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნით მათ სხვადასხვა დაწესებულებებთან ურთიერთობისას, ვინაიდან სხვადასხვა დაწესებულებები ითხოვენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მიერ დამოწმებულ ცნობებს. ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსია: პროექტის მიხედვით ცვლილება შედის „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში და დადგენილების მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, სადაც მითითებულია, რომ ქალაქ ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული მოიცავს ქალაქ ახმეტას და სოფელ ქვემო ჩოფჩაურს, ჩამოყალიბდება შემდეგნაირად ა) ქალაქ ახმეტის ადმინისტრაციული ერთეული მოიცავს ქალაქ ახმეტას. სოფელი ქვემო ჩოფჩაური დაემატება შეხვეტილას ადმინისტრაციულ ერთეულს (მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი).

ამჟამად მოქმედი რედაქციით, მერის წარმომადგენლები შეზღუდულები არიან სხვადასხვა ცნობების გაცემის მხრივ. აღნიშნული ცვლილებით ფართოვდება იმ საკითხების წრე, რომლებთან დაკავშირებითაც მერის წარმომადგენლებს შეუძლიათ ცნობების გაცემა: „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის)

პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის N46 დადგენილების მე-8 მუხლის შესაბამისად, ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის შესახებ;

საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ;

პირის/პირების კონკრეტულ მისამართზე ცხოვრების ფაქტის დადასტურების (გარდა მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით) შესახებ;

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N71 ბრძანების 85-ე მუხლის შესაბამისად, მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ“.

21-ე მუხლი ჩამოყალიბდება ახლებურად არსებული ცვლილებების გათვალისწინებით. 21-ე მუხლში საუბარია ცნობების ფორმის დამტკიცებაზე და გაცემის წესზე.

(განმარტებითი ბარათი თან ერთვის ოქმს).

შ.ტერტერაშვილი: მრავალჯერადი გამოყენების დოკუმენტი არ შეიძლება მივიღოთ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სახით, უმჯობესია ცვლილება ჩავამატოთ დანართის სახით. აღნიშნა აგრეთვე, რომ დაზუსტდეს ვინ იგულისხმება უფლებამოსილ პირში, რომელმაც გაცემული ცნობები უნდა შეინახოს. და ამასთან შენიშნა, რომ უფრო წორად მიაჩნია სოფ.ჩოფჩაური შევიდეს ქ.ახმეტის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვიდრე შახვეტილის ადმინისტრაციულ ერთეულში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

9 - მომხრე;
1 - მონაწილეობა არ მიიღო;

<u>მოისმინეს:</u> **ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე დასახლების გაყოფის, ახალი დასახლების შექმნის, კატეგორიის მინიჭების, სახელდებისა და ადმინისტრაციული საზღვრის დადგენის თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ;**

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი დამსწრე წევრებს: სოფელი შედის ზ.ხოდაშნის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ხორხელთან ყოფს ხევი. მანძილის გამო დასახლებას ექმნება სხვადასხვა პრობლემები და მათი გადაჭრის მიზნით, ითხოვს ცალკე სოფლად გამოყოფას. პირველი განცხადება შემოსულია 2015 წელს, არის აგრეთვე მერის ინიცირება სოფლის გაყოფის შესახებ.
ბიურო გაეცნო სოფლის მაცხოვრებლების განცხადებას, მათ მდგომარეობას და მიიღო გადაწყვეტილება დაეთანხმოს სოფლის გაყოფას და ახალი დასახლების შექმნას.
შ.ტერტერაშვილმა დატოვა სხდომა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ბიუროს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> **ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;**

მომხსენებელმა გააცნო ბიუროს წევრებს საკითხი: სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ. ითხოვა თანხმობა პროექტების დამატების შესახებ. კერძოდ: გარე განათების მოწყობა სოფ.ჩაჩხრიალაში, წინუბანში საბავშვო ბაღის კეთილმოწყობა, ჭართალაში და ჩაჩხრიალაში შიდა გზების მოწყობა, ქვ.ალვანში საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, ჯაბურში ნაპირსამაგრები და სანიაღვრე არხები.
ა.მექვევრიშვილმა დატოვა სხდომა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს</u>: **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ახმეტაში, თამარის ქუჩაზე მდებარე შენობის ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს: შენობის ფართი უსასყიდლო უზუფრუქტის სახით გადაეცემა კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახურს.
შ.ტერტერაშვილი დაბრუნდა სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების, ქალაქ ახმეტაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 16 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის საპრივატიზებო ნუსხისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;**

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს: აღნიშნული ფართის საწყისი საპრივატიზებო საფასურია 341(სამას ორმოცდაერთი) ლარი. „ბე"-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა განისაზღვრება საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30% ით - 103 (ას სამი) ლარის ოდენობით.

აუქციონის ბიჯის ოდენობა საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%-ით, 35 ლარის ოდენობით.

საკითხის შესახებ კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> 2019 წლის 21 ნოემბერს გამოცხადებული, ელექტრონული პირობიანი აუქციონის წესით ვერ გაყიდული, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ კასრისწყალში მდებარე ყოფილი ადმინისტრაციული შენობისა და მასზე დამაგრებული 1501 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე 30%-იანი ფასდაკლებით პრივატიზების, საწყისი საფასურის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს: პირველ, გამოცხადებულ აუქციონზე არ გაიყიდა შენობა. გაგვაქვს ელ.აუქციონზე ხელმეორედ-30%-იანი ფასდაკლებით.

- საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენს 7405(შვიდიათას ოთხას ხუთი) ლარის ოდენობით.
- „ბე"-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა განისაზღვრება საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30% ით - 2222 (ორიათას ორასოცდაორი) ლარის ოდენობით.
- აუქციონის ბიჯის ოდენობა საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10% ით -741 ლარის ოდენობით.

პრივატიზება განხორციელდება ელექტრონული, პირობიანი აუქციონის წესით:

- მიწის ნაკვეთზე სავალდებულოა განხორციელდეს არანაკლებ 50000(ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს სამი წლის ვადაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;
1 - წინააღმდეგი;

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ბორბლიანი ექსკავატორის კამაცუ PW 160-7-ის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო პროექტი დამსწრე წევრებს: მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა გაყიდოს ბორბლიანი ექსკავატორის კამაცუ PW 160-7, სარეგისტრაციო მოწმობის N AV0364358. გამოშვების წელი 2007, ძრავის N 21733478.

- საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა - **150000** (ასორმოცდაათი ათასი) ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

8 - მომხრე;
1 - მონაწილეობა არ მიიღო;

ბიუროს სხდომა დაიხურა 12^{30} საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: **რ.ბაღაკაშვილი**